გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
დადგენილება № 18

2024 წლის 13 დეკემბერი
ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/11/2017; 010260000.35.148.016404) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მერიის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალიტეტის სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადება, მათი განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება; საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის უფლება-მოვალეობების განხორციელება.“.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„9. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ფუნქციებია: მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადება, მათი განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება; კეთილმოწყობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურული სამშენებლო რეგულირების განხორციელება.“.

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„11. ეკონომიკის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადება, მათი განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება; ქონების აღრიცხვა და მართვა,

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების განხორციელება, გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება.“.

დ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„16. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადება, მათი განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.“.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**